

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

 კახაბერ კირტავა

23. 06. 2017 წელი

ეგზ N1

სსიპ-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N32/36

2016 წლის 1 იანვარი - 2016 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

1.შემოკლებანი.....	3
2.შემაჯამებელი მიმოხილვა	3
3. აუდიტის მიზანი და მასშტაბი	5
4. საქმიანობის მოკლე მიმოხილვა.....	7
5. ძირითადი ტექსტი	8
5.1 აქტივების ინვენტარიზაცია.....	8
5.2. სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები	8
5.3. ადამიანური რესურსების მართვა.....	13
5.4. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება.....	17
5.5. უნივერსიტეტის გამომცემლობა.....	18
5.6. ბიუჯეტის შედგენა-დამტკიცება.....	19

1.შემოკლებანი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი - უნივერსიტეტი.

2.შემაჯამებელი მიმოხილვა

✓ უნივერსიტეტის მიერ არ არის განხორციელებული ბალანსზე რიცხული აქტივებისა და ვალდებულებების, მატერიალური ფასეულობების, საცნობარო მუხლებში აღრიცხული ძირითადი აქტივების, ხარჯებში ჩამოწერილი ექსპლუატაციაში მყოფი მატერიალური მარაგების და ამორტიზებული ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია. გვ.8

✓ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესრულებული აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების ღირებულება 13,1 ათასი ლარი, მიმწოდებელზე გადახდილია ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულების გარეშე. გვ.9

✓ უნივერსიტეტის მიერ 11,4 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოს შესრულების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდა სატენდერო წინადადებაში გაუთვალისწინებლად, პრეტენდენტების ვაჭრობის გარეშე, ხოლო 9,9 ათასი ლარი მიმწოდებელზე გადახდილია ხელშეკრულების პირობების დაუცველად. გვ.10

✓ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობები შეუსაბამობაშია სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ პირობებთან. მიმწოდებლის მიერ ორ შემთხვევაში არ არის შესრულებული 70,7 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები, ხოლო შემსყიდველის მიერ არ არის გამოყენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება საბანკო გარანტიის გამოყენებასთან დაკავშირებით. გვ.11

✓ უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აკადემიურ შვებულებასთან დაკავშირებით ბრძანებები არაერთგვაროვანი მიდგომითაა გამოცემული, ხოლო აკადემიური პერსონალის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ მასალები არ არის რეგისტრირებული უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად. გვ.12

✓ უნივერსიტეტის პერსონალის ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებასთან დაკავშირებით ბრძანებები გამოცემულია არაერთგვაროვანი მიდგომით. კერძოდ, ორ შემთხვევაში, შრომითი ურთიერთობის შეჩერების პირობებში, პერსონალი დასაქმებულია და გაცემულია შრომის ანაზღაურება. გვ.15

✓ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული 2016-2017 სასწავლო წლისთვის, აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალისათვის აკადემიური დატვირთვებიდან შეუსრულებელია 3 151 საათი. გვ.16

✓ ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების ფარგლებში, 29,8 ათასი ლარის ღირებულების შეცვლილ ავტონაწილებზე არ არის იდენტიფიცირებული სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული ქარხნულობა ან/და ორიგინალობა. გვ. 17

✓ უნივერსიტეტის პერსონალზე, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის დარღვევით, დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების შეუსაბამოდ, გაწეულია 4,03 ათასი ლარის ხარჯი. გვ.18

✓ საბუღალტრო ჩანაწერებით, ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე, სტამბაზე ჩამოწერილია 9,7 ათასი ლარის ღირებულების აქტივები. გვ.18

✓ უნივერსიტეტის მიერ, 80,6 ათასი ლარის ღირებულების დანადგარების შესყიდვა განხორციელებულია ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ. გვ.19

✓ 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი უნივერსიტეტის ფაკულტეტებს, აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტს და ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ინსტიტუტს არ აქვთ წარმოდგენილი. შესაბამისად, უნივერსიტეტის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში არ არის გამიჯნული ფაკულტეტების და სტრუქტურული ერთეულების ბიუჯეტები. გვ.20

რეკომენდაცია

➤ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები და უზრუნველყოს, ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლს, მატერიალური ფასეულობების ფაქტიური ნაშთების დადგენას და ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმებას.

➤ ანალოგიური დარღვევების შემდგომში დაუშვებლობის მიზნით, დაინერგოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესრულებული სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების გადახდა განხორციელდეს ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის საბიუჯეტო სახსრების კანონშესაბამისად განკარგვას.

➤ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ, სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვის და სატენდერო წინადადების შედგენის პროცედურებთან დაკავშირებით, გააძლიეროს შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც ჯანსაღი კონკურენციის განვითარების და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის ერთ-ერთი პირობაა, ამასთან, აღმოფხვრის პრეტენდენტებთან არაერთგვაროვანი მიდგომის და შესაძლო ხელოვნური შეზღუდვის რისკებს.

➤ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების პროცედურებთან დაკავშირებით, გააძლიეროს შიდა კონტროლის მექანიზმები, უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულებლობის რისკების იდენტიფიცირება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლების სრულფასოვნად გამოყენება, რაც საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის ერთ-ერთი პირობაა.

➤ ანალოგიური დარღვევების შემდგომში დაუშვებლობის მიზნით, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გააძლიეროს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც აღმოფხვრის

უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შესაძლო რისკებს.

➤ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები, აკადემიური საბჭოს დადგენილებით და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული, აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის სააუდიტორო და არასააუდიტორო დატვირთვის ფაქტობრივად შესრულების შესაბამისობაზე.

➤ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ დაანერგოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, წესდებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, ბიუჯეტის შედგენა/დამტკიცებასთან დაკავშირებით.

➤ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ, ავტომატური ტექნიკური მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით, გააძლიეროს შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს მომსახურების სრულფასოვან იდენტიფიცირებას და აღმოფხვრის სატენდერო წინანადებასთან შეუსაბამობის შესაძლო რისკს.

➤ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება განხორციელოს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული, დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების შესაბამისად.

➤ უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სასტამბო მომსახურების საფასურის განსაზღვრის საფუძველი. სტამბაზე გაცემული მასალების ჩამოწერა განხორციელდეს ფაქტიური ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესაბამისად.

➤ აქტივების შესყიდვასთან დაკავშირებით, ანალოგიური შეუსაბამობის შემდგომში დაუშვებლობის მიზნით, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის მიზნით შეიმუშაოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც აღმოფხვრის პრეტენდენტებთან არაერთგვაროვანი მიდგომის და შესაძლო ხელოვნური შეზღუდვის რისკებს.

3. აუდიტის მიზანი და მასშტაბი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტის ჯგუფმა წარმოადგინოს ანგარიში ორგანიზაციის მიერ, მის საქმიანობასთან დაკავშირებით განხორციელებული ოპერაციები რამდენად შესაბამისობაშია შესაფერის კრიტერიუმებთან. აუდიტის ჯგუფმა დაწესებულების საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრა მოცემული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, ხელშეკრულებების და მოცემულ დარგში მოქმედი სტანდარტების საფუძველზე, ასევე სხვა რელევანტური ინფორმაციის გათვალისწინებით.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბს წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ 2016 წელს განხორციელებული შემდეგი საქმიანობა:

- შრომის ანაზღაურების დარიცხვა-გაცემის მდგომარეობა;
- მივლინებისათვის გაწეული ხარჯების მდგომარეობა;
- წარმომადგენლობითი ხარჯების განკარგვის მდგომარეობა;

- სახელმწიფო შესყიდვების განხორციელება;
- აქტივების მართვა-განკარგვის მდგომარეობა.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამობების ან/და ნაკლოვანებების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია 2016 წელს განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობაზე არსებულ კრიტერიუმებთან. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული ფაქტობრივი გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან. აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებული იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტის 2016 წლის საქმიანობა არ შეიცავს კრიტერიუმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით-„ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას და რეკომენდაციების გაცემას, რაც ეხმარება

აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

4. საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

უნივერსიტეტი არის საქართველოს მთავრობის დადგენილებით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც სახელმწიფო კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით და სხვა სახის საქმიანობას. საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს: ა) უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობა ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, რეზიდენტურის და დოქტორანტურის პროგრამების განხორციელების გზით; გ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა; დ) საგამომცემლო საქმიანობა; ე) დამხმარე ხასიათის ეკონომიკური საქმიანობა; ვ) კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების/კურსების შექმნა და განხორციელება. უნივერსიტეტი შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისაგან – ფაკულტეტებისაგან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკის (ბიბლიოთეკების) და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების: რექტორის აპარატის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის, კანცელარიისა და მართვის ორგანოების სამდივნოებისაგან, საუნივერსიტეტო მნიშვნელობის სასწავლო, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი და სხვა ერთეულებისაგან. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებია: აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მისამართი: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35. ვებ-გვერდი: www.bsu.edu.ge.

უნივერსიტეტის ბიუჯეტი წარმოდგენილია ცხრილის სახით:

შემოსავალი			ხარჯი		
კოდი	შემოსავლის წყარო	სულ თანხა	კოდი	დასახელება	სულ თანხა
	პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი	20196.36	2.1	შრომის ანაზღაურება	9086388.41
131	საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	117403.93	2.2	საქონელი და მომსახურება	4686487.67
133	სხვა სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	3117515.92	2.5	სუბსიდიები	155157.73
141	შემოსავლები საკუთრებიდან	224798.75	2.6	გრანტები	1537.68
142	საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	12137146.96	2.7	სოციალური უზრუნველყოფა	118113.02
144	ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა	30016	2.8	სხვა ხარჯები	1002765.92
145	შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	72473.41	31	არაფინანსური აქტივების ზრდა	3021675.43
			33	ვალდებულებების კლება	58174.09
სულ ჯამი		15 719 551.33			18 130 299.95

ცხრილი N 1. უნივერსიტეტის შემოსავლების და ხარჯების შესახებ.

5. ძირითადი ტექსტი

5.1 აქტივების ინვენტარიზაცია

5.1.1. კრიტერიუმი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით¹ დამტკიცებული წესის შესაბამისად, ინვენტარიზაციას ექვემდებარება ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული აქტივები და ვალდებულებები, ბალანსის საცნობარო მუხლებში აღრიცხული საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები, პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები, ხარჯებში ჩამოწერილი ექსპლუატაციაში მყოფი მატერიალური მარაგები, ამორტიზებული ძირითადი აქტივები.

გამოვლენილი გარემოება: აუდიტის პერიოდში წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ბოლო ხუთი წლის პერიოდში უნივერსიტეტის მიერ არ არის ჩატარებული ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების, მატერიალური მარაგების, მასალების, ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების, ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების² ინვენტარიზაცია.

დასკვნა:

წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლი, აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული მატერიალური ფასეულობების ფაქტიური ნაშთები, გამოუყენებელი აქტივები, ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობა და ფაქტიური ნაშთების სააღრიცხვო მონაცემებთან შესაბამისობა.

რეკომენდაცია:

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები და უზრუნველყოს, განხორციელდეს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების სრული ინვენტარიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლს, მატერიალური ფასეულობების ფაქტიური ნაშთების დადგენას და ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმებას.

5.2. სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები

5.2.1. კრიტერიუმი: საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N55 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას, ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მე-3 პუნქტის მიხედვით, შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის მიერ

¹ ბრძანება N605 23.07.2010წ. „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ.

² შეუსაბამოა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ 1 მუხლის მე-3 პუნქტის და მე-3 მუხლის მოთხოვნებთან.

დაქირავებული სამშენებლო მანქანა-მექანიზმებისა და ინვენტარის ქირავნობის ღირებულება, შესრულებული სამუშაოების აქტში, გათვალისწინებული უნდა იყოს ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების დარიცხვის გარეშე.

გამოვლენილი გარემოება: უნივერსიტეტის დაზიანებული შენობის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოებთან დაკავშირებით შედგენილი დეფექტური აქტის და ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, განსაზღვრულია შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება 13,5 ათასი ლარი და განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვა³. სამუშაოების ფაქტობრივი შესრულება დადასტურებულია მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტით და გადახდილია⁴ მიმწოდებელზე 13,1 ათასი ლარი. ხელშეკრულებაში და სამუშაოს მიღება-ჩაბარების დოკუმენტებში არ არის იდენტიფიცირებული მიმწოდებლის მიერ გამოყენებული მანქანა-მექანიზმების და ინვენტარის საკუთრება/დაქირავება, ხოლო ანგარიშსწორება განხორციელებულია ფაქტობრივი ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე, ლოკალურ-რესურსული ხარჯთაღრიცხვის მიხედვით განსაზღვრული ფასით.

დასკვნა:

გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესრულებული აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების ღირებულება 13,1 ათასი ლარი, გადახდილია ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი მტკიცებულების გარეშე.

რეკომენდაცია:

ანალოგიური დარღვევების შემდგომში დაუშვებლობის მიზნით, დაინერგოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები და გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესრულებული სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულების გადახდა განხორციელდეს ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესაბამისად, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის საბიუჯეტო სახსრების კანონშესაბამისად განკარგვას.

5.2.2.კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონით⁵ ელექტრონული ტენდერისა და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია უნდა განთავსდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. სატენდერო დოკუმენტაცია სხვა მონაცემებთან ერთად უნდა შეიცავდეს შესასყიდი საქონლის რაოდენობას, სამუშაოს ან მომსახურების მოცულობას, აგრეთვე ხელშეკრულების იმ აუცილებელ პირობებს, რომლებიც შემსყიდველი ორგანიზაციისათვის წინასწარ არის ცნობილი. უნივერსიტეტის მიერ, 2016 წლის 15 ივლისს გამოცხადებული გამარტივებული ელექტრონული (NAT 160000266) ტენდერი ითვალისწინებს უნივერსიტეტის მე-2 კორპუსის I-III სართულის გათბობის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

³ ხელშეკრულება N18. 14.01.2016 წელი, სახელშეკრულებო ღირებულება 13.495 ათასი ლარი.

⁴ არაა გადახდილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეზერვი გაუთვალისწინებელ სამუშაოებზე 0,3 ათასი ლარი.

⁵ 12¹ მუხლის მე-2 პუნქტი. მე-5 პუნქტის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტი

გამოვლენილი გარემოება: უნივერსიტეტის მიერ, 2016 წლის 15 ივლისს გამოცხადებულია ტენდერი⁶ უნივერსიტეტის მე-2 კორპუსის I-III სართულის გათბობის ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. შესყიდვაში გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულებით⁷ მიმწოდებელმა 2016 წლის 7 ოქტომბრამდე უნდა შეასრულოს 115,9 ათასი ლარის ღირებულების გათბობის ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები. შესრულებული სამუშაოების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, ხოლო შესრულებული სამუშაოების მოცულობა, რაოდენობა და ღირებულება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შედგენამდე დადასტურდება აკრედიტირებული ექსპერტის მიერ. 2016 წლის 3 ოქტომბერს⁸, მხარეებს შორის გაფორმებული შეთანხმებით, დამატებულია სხვა სახეობის სამუშაოები⁹, რასაც სატენდერო წინადადება არ ითვალისწინებდა და შესაბამისად, გაზრდილია სახელშეკრულებო ღირებულება 11,4 ათასი ლარით (შეადგინა 127,7 ათას ლარი). უნივერსიტეტის მიერ შესრულებაში ნაჩვენებია და გადახდილია მიმწოდებელზე 123,3 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მხარეებს შორის ორ შემთხვევაში გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი 113,5 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე, ხოლო 9,9 ათასი ლარის სამუშაოების შესრულებაზე¹⁰ მიღება-ჩაბარების აქტები უნივერსიტეტის საქმისწარმოების აღრიცხვის მონაცემებით არ არის რეგისტრირებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტის¹¹ დასკვნის მიხედვით, ინსპექტირება განხორციელდა 2016 წლის 4 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრამდე პერიოდში (წარმოდგენილი დოკუმენტაციით¹²), თუმცა 4 ოქტომბრამდე მხოლოდ შესრულებული იყო სამუშაოს 57,96 % (73,7 ათასი ლარი).

დასკვნა:

უნივერსიტეტის მიერ 11,4 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოს შესრულების სახელმწიფო შესყიდვა განხორციელდა სატენდერო წინადადებაში გაუთვალისწინებლად, პრეტენდენტების ვაჭრობის გარეშე, ხოლო 9,9 ათასი ლარი მიმწოდებელზე გადახდილია ხელშეკრულების პირობების დარღვევით.

რეკომენდაცია:

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ, სახელმწიფო შესყიდვის დაგეგმვის და სატენდერო წინადადების შედგენის პროცედურებთან დაკავშირებით, გააძლიეროს შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც ჯანსაღი კონკურენციის განვითარებისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის ერთ-ერთი პირობაა, ამასთან, აღმოფხვრის პრეტენდენტებთან არაერთგვაროვანი მიდგომის და შესაძლო ხელოვნური შეზღუდვის რისკებს.

⁶ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

⁷ შპს „არტიფიქსი“ ხელშ. N203 07.09.2016წ.

⁸ სამუშაოს დასრულების ვადის გასვლამდე 4 დღით ადრე.

⁹ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილია ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ პერიოდში, 2016 წლის 21 სექტემბერს. პანდუსების და რკინა-ბეტონის მოწყობა, კანალიზაციის სისტემის აღდგენა.

¹⁰ სექციური რადიატორების მოწყობა 8 ცალი, პლასტმასის მილებების მოწყობა ფასონური ნაწილებით 204 გრძ.მ. პოლიპროპილენის ფიტინგის მოწყობა 248 ცალი, მილზე გადამყვანის მოწყობა 120 ცალი. მარეგულირებელი სარქველის მოწყობა 18 ცალი.

¹¹ მამუკა ჩინჩალაძე.

¹² შესრულებულ სამუშაოთა აქტები ფორმა N2.

5.2. 3.კრიტერიუმი: უნივერსიტეტის შენობის სარემონტო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით,¹³ სატენდერო წინადადებით,¹⁴ შესრულებული სამუშაოს მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით. შესრულებული სამუშაოების მოცულობა, რაოდენობა და ღირებულება, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შედგენამდე, დადასტურდება აკრედიტირებული პირის მიერ, ხოლო სამუშაოები არ ჩაითვლება დასრულებულად და არ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, თუ დასკვნით შესრულებული სამუშაოების ღირებულება, მოცულობა და რაოდენობა არ შეესაბამება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო¹⁵, ხოლო რისკის თავიდან აცილების მიზნით,¹⁶ მიმწოდებლის მიერ, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება საბანკო გარანტია 44,9 ათასი ლარი.

გამოვლენილი გარემოება: უნივერსიტეტის შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებულია ხელშეკრულება¹⁷ 2016 წლის 14 დეკემბრამდე 448.8 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე. მხარეებს შორის, ორ შემთხვევაში¹⁸ გაფორმებულია შუალედური მიღება-ჩაბარების აქტები სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით, თუმცა სამუშაოს შესრულების აქტში (N2) დაფიქსირებული 207,0 ათასი ლარის შესრულებული სამუშაოები იდენტიფიცირებული არ არის. შესრულებული სამუშაოს საბოლოო მიღება-ჩაბარებასთან დაკავშირებით, 2017 წლის 13 იანვარს შპს „მშენ-ექსპერტის“ მიერ წარდგენილი დასკვნით ირკვევა, რომ მიმწოდებლის მიერ ექსპერტიზაზე წარდგენილია 440,0 ათასი ლარის ღირებულების შესრულებული სამუშაოები, ექსპერტიზით კი დადგენილია 435,7 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოების ფაქტობრივი შესრულება (4,3 ათასი ლარით ნაკლები). ზემოთ აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, ხელშეკრულების პირობებთან შედარებით სულ შეუსრულებელია 12,9 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები¹⁹. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სატენდერო წინადადების 2.3.4 ნაწილის (შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი) „გ“ პუნქტით გათვალისწინებული პირობა (სამუშაოები არ ჩაითვლება დასრულებულად და არ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, თუ დასკვნით შესრულებული სამუშაოების ღირებულება, მოცულობა და რაოდენობა არ შეესაბამება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას) ხელშეკრულების პირობებში არ არის ნაჩვენები²⁰, ხოლო ექსპერტის მიერ წარმოდგენილი

¹³ გამოცხადებულია 2016 წლის 23 სექტემბერს, NAT 160002264 სავარაუდო ღირებულება 700,0 ათასი ლარი.

¹⁴ სატენდერო წინადადების 2.3.4 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ პუნქტი.

¹⁵ მე-9 მუხლის 9.1 პუნქტის მიხედვით ყოველი დავიანებული დღისათვის ხელშეკრულების ფასის 0,1% - 0,435 ათასი ლარი.

¹⁶ ხელშეკრულების მე-14 მუხლის 14.1 პუნქტი.

¹⁷ შპს „კომპანიონი“. NAT 160002264 ხელშ. N243 11.11.2016წელი.

¹⁸ აქტი N1 14.12.2016წ 232,9 ათასი ლარი. N2 28.12.2016წ. 207,0 ათასი ლარი.

¹⁹ კიბის შეფუთვა გრანიტის ფილებით, ფანჯრის ნაოთხალების ამოჭრა და შესავლელების ფილების დემონტაჟი, შენობის ირგვლივ გრანიტის ფილების მოწყობა, მიწის ფსადის დემონტაჟი და მონტაჟი და სხვა.

²⁰ შეუსაბამო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 16¹ მუხლის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „ გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-19 მუხლის 1 პუნქტის პირობებთან.

დასკვნის საფუძველზე გაფორმებულია საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი და სამუშაოები ჩათვლილია დასრულებულად.

დასკვნა:

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობები შეუსაბამობაშია სატენდერო წინანადებით გათვალისწინებულ პირობებთან. მიმწოდებლის მიერ არ არის შესრულებული 12,9 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები, ხოლო შემსყიდველის მიერ არ არის გამოყენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება საბანკო გარანტიის გამოყენებასთან და პირგასამტეხლოს დაკისრებასთან დაკავშირებით.

5.2.4. კრიტერიუმი: უნივერსიტეტის სტუდენტთა ყოფილი საცხოვრებლის დასრულების სარემონტო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით²¹, სატენდერო წინადადების და მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულების²² პირობებით, შესრულებული სამუშაოს მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელის მოწერით. შესრულებული სამუშაოების მოცულობა, რაოდენობა და ღირებულება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შედგენამდე დადასტურდება აკრედიტირებული პირის მიერ. სამუშაოები არ ჩაითვლება დასრულებულად და არ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, თუ დასკვნით შესრულებული სამუშაოების ღირებულება, მოცულობა და რაოდენობა არ შეესაბამება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას. ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო²³, ხოლო რისკის თავიდან აცილების მიზნით²⁴, მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოიყენება საბანკო გარანტია 15,3 ათასი ლარი.

გამოვლენილი გარემოება: უნივერსიტეტის სტუდენტთა ყოფილი საცხოვრებლის დასრულების სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობდა ერთი პრეტენდენტი, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება²⁵ 2016 წლის 9 მაისამდე 610,0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე. მხარეებს შორის გაფორმებული შეთანხმებით²⁶ სამუშაოს ღირებულება განისაზღვრა 634.5 ათასი ლარით, ხოლო დასრულების ვადა არაუგვიანეს 2016 წლის 10 ივნისი. სამუშაოები დასრულებულია²⁷ და გადახდილია მიმწოდებელზე შესრულებული სამუშაოს ღირებულება 576,6 ათასი ლარი. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შედარებით მიმწოდებელს არ აქვს შესრულებული 57,8 ათასი ლარის სამუშაოები, მათ შორის 7,8 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები ნაჩვენებია იყო შესრულებაში და შემცირებულია ექსპერტის მიერ, როგორც ფაქტობრივად შეუსრულებელი სამუშაო .

²¹ გამოცხადებულია 2015 წლის 9 დეკემბერი, SPA 150033674 სავარაუდო ღირებულება 620,0 ათასი ლარი.

²² სატენდერო წინადადების 2.3.4 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ პუნქტი. ხელშეკრულება N24 25.01.2016წ მე-6 მუხლის 6.1, 6.2 და 6.3 პუნქტი.

²³ მე-9 მუხლის 9.1 პუნქტის მიხედვით ყოველი დაგვიანებული დღისათვის ხელშეკრულების ფასის 0,1 % - 0,6434 ათასი ლარი.

²⁴ ხელშეკრულების მე-14 მუხლის 14.1 პუნქტი.

²⁵ შპს „ქართული სამშენებლო ჯგუფი“. ხელშ. N24 25.01.2016 წელი.

²⁶ შეთანხმება N1 28.03.2016წ. შეთანხმება N3 8.06.2016წ.

²⁷ მიმწოდებლის წერილი N10/06/2016წ. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტის ეროვნული ბიუროს დასკვნა N5003564516. 04/07/2016წ.

დასკვნა:

სატენდერო წინადადებით და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ არ არის შესრულებული 57,8 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოები, ხოლო შემსყიდველის მიერ არ არის გამოყენებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება საბანკო გარანტიის გამოყენებასთან და პირგასამტეხლოს დაკისრებასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია:

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმების პროცედურებთან დაკავშირებით, გააძლიეროს შიდა კონტროლის მექანიზმები, უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების რისკების იდენტიფიცირება და ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლების სრულფასოვნად გამოყენება, რაც საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის ერთ-ერთი პირობაა.

5.3. ადამიანური რესურსების მართვა

5.3.1. კრიტერიუმი: უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციის²⁸ მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, უნივერსიტეტში შემოსული კორესპონდენციის, განცხადებების, წერილებისა და უნივერსიტეტში შექმნილი დოკუმენტაციის მიღება და აღრიცხვა ხდება კანცელარიაში²⁹. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, დაუშვებელია კორესპონდენციის მიღება უშუალოდ სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ, კანცელარიის გვერდის ავლით³⁰. უნივერსიტეტის შინაგანაწესის³¹ მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, აკადემიური პერსონალი ვალდებულია აკადემიური შვებულების ვადის ამოწურვიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, შესაბამის ფაკულტეტის საბჭოს წარუდგინოს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში და აკადემიურ შვებულებაში გასვლის თაობაზე რექტორის ბრძანებით განსაზღვრული მასალები.

5.3.1.1. გამოვლენილი გარემოება: უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალზე³² აკადემიური შვებულებისათვის აუდიტის პერიოდში 16 შემთხვევაში გაცემულია საშვებულებო ანაზღაურება 194,5 ათასი ლარი, მათ შორის 11 შემთხვევაში აკადემიური პერსონალის საშვებულებო პერიოდი დასრულებულია 2016 წელს³³. უნივერსიტეტის კანცელარიის მონაცემებით, შვებულებაში მყოფი პირების მიერ რექტორის ბრძანებით გათვალისწინებული

²⁸ დამტკიცებულია უნივერსიტეტის რექტორის მიერ ბრძანება N01-08/6 16.02.2016წ.

²⁹ სასწავლო პროცესთან დაკავშირებით ფაკულტეტების მისამართით შემოსული სტუდენტების განცხადებებისა (სტუდენტის სტატუსის/აკადემიური მოსწრების შესახებ ცნობების, პირადი საქმის მასალების ასლების მისაღებად და სხვა) -შესაბამის ფაკულტეტის სამდივნოში.

³⁰ გარდა სასწავლო პროცესთან დაკავშირებით ფაკულტეტების მისამართით შემოსული სტუდენტების განცხადებებისა (სტუდენტის სტატუსის/აკადემიური მოსწრების შესახებ ცნობების, პირადი საქმის მასალების ასლების მისაღებად და სხვა) -შესაბამის ფაკულტეტის სამდივნოში.

³¹ დამტკიცებულია უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით N02 09.09.2011წ.

³² ბრძანება N 02-04/343 01.11.2016წ; N02-04/295 19.09.2016წ; N02-04/292 19.09.2016წ; N02-04/19 12.02.2016წ; N02-04/248 18.09.2015წ; N02-04/237 10.10.2015წ; N02-04/236 09.09.2015წ; N02-04/152 17.07.2015წ; N02-04/151 17.07.2015წ;

³³ 6 შემთხვევაში საშვებულებო პერიოდი სრულდება 2017 წელში.

წარმოსადგენი მასალები³⁴ რეგისტრირებული არ არის³⁵, ხოლო შვებულებიდან დაბრუნების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ 11 შემთხვევიდან 4 შემთხვევაში³⁶ წარმოდგენილია განცხადება (სამსახურებრივი ბარათი) შვებულებიდან დაბრუნების და ინფორმაცია გაწეული საქმიანობის შესახებ, 4 შემთხვევაში³⁷ წარმოდგენილია მხოლოდ განცხადება (მოხსენებითი ბარათი) შვებულებიდან დაბრუნების შესახებ, ორ შემთხვევაში³⁸ წარმოდგენილია განცხადება შვებულებიდან დაბრუნების შესახებ და მითითებულია, რომ დაკისრებული ვალდებულება შესრულებულია, თუმცა არ არის იდენტიფიცირებული შესრულებული ვალდებულებები, ერთ შემთხვევაში³⁹ კი მოხსენებითი ბარათი შვებულების დასრულებასთან დაკავშირებით რეგისტრირებულია ფაკულტეტის დეკანის მიერ.

5.3.1.2. გამოვლენილი გარემოება: უნივერსიტეტის 16 აკადემიური პერსონალის შვებულებისათვის⁴⁰ 9 შემთხვევაში გამოცემულია რექტორის ბრძანება, მათ შორის 4 შემთხვევაში ბრძანებით⁴¹ განსაზღვრულია აკადემიური შვებულებიდან დაბრუნების შემდეგ, გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაციის და შესაბამისი მასალების წარმოდგენა, ხოლო 5 შემთხვევაში ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის და მასალების წარმოდგენის ვალდებულება ბრძანებით⁴² არ არის განსაზღვრული.

დასკვნა:

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აკადემიურ შვებულებასთან დაკავშირებით ბრძანებები არაერთგვაროვანი მიდგომითაა გამოცემული, ხოლო აკადემიური პერსონალის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ მასალები არ არის რეგისტრირებული უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად.

5.3.2. კრიტერიუმი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით⁴³ დამტკიცებული წესის თანახმად, დასაქმებულზე/მოსამსახურეზე ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების გაცემის საფუძველს წარმოადგენს შევსებული საავადმყოფო ფურცელი, ხოლო დახმარებასთან ერთად ეძლევა კომპენსაცია მის მიერ ორსულობისა და მშობიარობის გამო ანაზღაურებად შვებულებაში ყოფნის პერიოდში მისაღები შრომითი გასამრჯელოს სრულ ოდენობამდე შესავსებად. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით⁴⁴

³⁴ ბრძანება N02-04/295 19.09.2016წ. N 02-04/292 19.09.2016წ. N02-04/237 10.09.2015წ. N02-04/152 17.07.2015წ. N02-04/151 17.07.2015წ.

³⁵ შეუსაბამოა უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციის მე-2 მუხლის 1-ლი და მე-5 პუნქტის მოთხოვნებთან.

³⁶ მაია კიკვაძე, ნათია ქათამაძე, ნოდარ ჭყონია, ნინო დვალის.

³⁷ ლელა თურმანიძე, ნანა ტრაპაიძე, ჟანი მიქაშავიძე, ბესიკ ბოლქვაძე.

³⁸ ვიქტორია დიასამიძე, მარინა სიორიძე.

³⁹ ნუგზარ ფუტკარაძის დაბრუნების შესახებ მოხსენებითი ბარათი დაწერილია დეკანის ადამ მახარაძის მიერ.

⁴⁰ 2016 წელში გაწეული ხარჯებისათვის.

⁴¹ N02-04/343 01.11.2016წ. N02-04/19 12.02.2016წ. N02-04/248 18.09.2015წ. N02-04/236 09.09.2015წ.

⁴² N02-04/295 19.09.2016წ. N02-04/292 19.09.2016წ. N02-04/237 10.09.2015წ. N02-04/152 17.07.2015წ. N02-04/151 17.07.2015წ.

⁴³ ბრძანება 25.08.206წ. №231/ნ „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების წესის“ მე-6 მუხლი და მე-8 მუხლის მე-11 პუნქტი.

⁴⁴ გადაწყვეტილება N02. 09.09.2011წ, განხორციელებული ცვლილებებით.

დამტკიცებული უნივერსიტეტის შინაგანაწესის⁴⁵ მიხედვით, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, სამეცნიერო, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობის პირებს უფლება აქვთ ისარგებლონ ანაზღაურებადი შვებულებით რექტორის/დამსაქმებლის ბრძანების შესაბამისად.

5.3.2.1. გამოვლენილი გარემოება: უნივერსიტეტის პერსონალის ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებით სარგებლობა განხორციელებულია დამსაქმებლის ბრძანების და პერსონალის მიერ წარმოდგენილი საავადმყოფო ფურცლის საფუძველზე. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ დამსაქმებლის მიერ გამოცემული ბრძანებით განსაზღვრული შვებულების ხანგრძლივობის დრო არ შეესაბამება საავადმყოფო ფურცელში მითითებულ შვებულების ხანგრძლივობას⁴⁶. ბრძანებაში და საავადმყოფო ფურცელში მითითებული შვებულების დროის გათვალისწინებით, რიგ შემთხვევაში ცალკეულ თვეში არასწორადაა დარიცხული⁴⁷ შრომის ანაზღაურება, ხოლო ბრძანებით გათვალისწინებული შრომითი ურთიერთობის შეჩერების პირობებში, 2 მოწვეულ მასწავლებელზე დარიცხულია შრომის ანაზღაურება შეჩერებულ პერიოდზე.

დასკვნა:

უნივერსიტეტის პერსონალის ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებასთან დაკავშირებით ბრძანებები გამოცემულია არაერთგვაროვანი მიდგომით, ხოლო შრომითი ურთიერთობის შეჩერების პირობებში, 2 პერსონალი დასაქმებულია და გაცემულია შრომის ანაზღაურება.

რეკომენდაცია:

ანალოგიური შეუსაბამობის შემდგომში დაუშვებლობის მიზნით, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გააძლიეროს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც აღმოფხვრის უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შესაძლო რისკს.

5.3.3. კრიტერიუმი: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, აკადემიური პერსონალის დატვირთვის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, წესდებით დადგენილი წესით. უნივერსიტეტის წესდების მე-10 მუხლის შესაბამისად, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი

⁴⁵ მუხლი N3

⁴⁶ სოფიკო დავითაძე ბრძ. N02-04/353- 07.11.2016წ ვადა 4.11.2016წ-დან 183 დღე, ს/ფურცელით 15.07.2016-13.01.2017წ. ნარგიზ ვალავანდიშვილი ბრძ. ბრძ. N02-04/8-20.01.2017წ ვადა 07.01.2016-26.07.2016, ს/ფურცელით 2017 წელი. ინგა ბერაძე ბრძ. N02-04/158-28.06.2016წ -ბრძანებაში არ არის მითითებული შვებულების ხანგრძლივობა და დასრულების დრო, ს/ფურცელით 20.06.2016-19.12.2016წ. ვარდო ჩოხარაძე ბრძ N02-04/43-16.03.2016წ. ვადა 09.03.2016-დან, ს/ფურცელით შვებულებაშია 10.03.2016-დან. ქეთევან დევაძე ბრძ N02-06/202-15.06.2016წ ვადა15.07.2016წ-დან 183 დღე, ს/ფურცელით 13/06/2016წ-13.12.2016წ. ცირა ცეცხლაძე ბრძ N 02-04/230 ვადა 08.09.2015წ-26.03.2016წ, ს/ფურცელით 31.08.2015-18.03.2016წ. იზოლდა ჯაბნიძე ბრძ N02-04/252-21.09.2015წ ვადა 21.09.2015-07.04.2016წ, ს/ფურცელით 19.08.2015-05.03.2016წ.

⁴⁷ იზოლდა ჯაბნიძე-ბრძანება N02-04/252. შვებულებაშია 07.04.2016წ-მდე და ს/ფურცელით კი შვებულებაშია 05.03.2016წ-მდე, არაა დარიცხული მარტის თვეში შრომის ანაზღაურება. თამარ ფოლოდაშვილი N02-06/473 შვებულებაშია 26.09.2016-19.12.2019წ , დარიცხულია სექტემბრის თვეში სრული ანაზღაურება 945 ლარი. ლილით მელიოიან-ფუტკარაძე ბრძ N02-04/331 შვებულებაშია 16.09.2016-05.04.2017წ დარიცხულია სექტემბრის თვეში შრომის ანაზღაურება 945 ლარი.

საბჭოს მიერ, 2015 წლის 31 ივლისის N01 გადაწყვეტილებით⁴⁸ დამტკიცებულია „აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის აკადემიური დატვირთვებისა და ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესი“. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების⁴⁹ საფუძველზე განსაზღვრულია თითოეულ პერსონალზე აკადემიური დატვირთვა, ხოლო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით⁵⁰ განხორციელებულია შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების გაცემა.

გამოვლენილი გარემოება: უნივერსიტეტის საბუღალტრო ჩანაწერებში წარმოდგენილი დოკუმენტებით და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით განსაზღვრული შესრულებული სამუშაოს მიხედვით ირკვევა, რომ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით 2016-2017 სასწავლო წლისათვის აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალისათვის დამტკიცებული აკადემიური დატვირთვებიდან, 12 128 საათის ნაცვლად, ფაქტობრივი შესრულება შეადგენს 8 977 საათს, 3 151 საათით ნაკლებს.

დასკვნა:

უნივერსიტეტის აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის მიერ შეუსრულებელია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული საათობრივი დატვირთვა 3 151 საათი.

რეკომენდაცია:

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები აკადემიური საბჭოს დადგენილებით და წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ დამტკიცებული აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის სააუდიტორო და არასააუდიტორო დატვირთვის ფაქტობრივად შესრულების შესაბამისობაზე.

5.3.4. კრიტერიუმი: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების⁵¹ შესაბამისად, ქვეყნის შიგნით დაქირავებულის მივლინებისას, სამსახურებრივი მივლინების სადღეღამისო ხარჯების ნორმა განისაზღვროს 15 ლარის ოდენობით, რომელიც გაიანგარიშება მივლინებაში ფაქტობრივად ყოფნის დღეების მიხედვით, ხოლო 30 კმ-მდე მანძილზე მივლინებისას, როდესაც შესაძლებელია სამუშაო (საცხოვრებელ) ადგილზე იმავე დღეს დაბრუნება, ანაზღაურდეს მხოლოდ მგზავრობის ხარჯები. ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას, თუ დაქირავებულის მივლინებას ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიმღები მხარე უზრუნველყოფს, მხოლოდ კვების ხარჯებით, მაშინ მისი სადღეღამისო ხარჯების ნორმა განისაზღვროს დანართ №1-ში გათვალისწინებული სადღეღამისო ნორმის 30 პროცენტის ოდენობით.

⁴⁸ განხორციელებული ცვლილებები: გადაწყვეტილება N 12 05.05.2016წ; N03 12.09.2016წ; N02 27.10.2016წ; N02 29.11.2016წ; N02 25.04.2017წ.

⁴⁹ N02-03/105 15/12/2015წ. N02-03/104 01.12.2015წ. N02-03/73 29/09/2015წ. 22.03.2016წ. N02-03/ 47 22/03/22016წ და სხვა

⁵⁰ ბრძანება N 01-12/159 27.12.2016წ. N01-12/168 28.12.2016წ. N01-12/67 30.05.2016წ. N01-12/33 28.03.2016წ. N01-12/24 29.02.2016წ. N/01-12/4 28.01.2016წ. 01-12/5 28.01.2016წ. .

⁵¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N220 5.04.2005 წ. პირველი პუნქტი, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-4 პუნქტი.

5.3.4.1. გამოვლენილი გარემოება: უნივერსიტეტის პერსონალის მივლინებაზე გაწეული ხარჯების ანალიზით ირკვევა, რომ 7 შემთხვევაში⁵² მიმწვევი მხარე უზრუნველყოფდა მივლინების ხარჯების ანაზღაურებას და უნივერსიტეტის მიერ დამატებით გაწეულია 1,5 ათასი ლარის ხარჯი, ხოლო 5 შემთხვევაში⁵³ მივლინების ბრძანებით გათვალისწინებული ვადის შეუსაბამოდ გაწეულია 1.5 ათასი ლარის ხარჯი.

5.3.4.2. გამოვლენილი გარემოება: ერთ შემთხვევაში⁵⁴ უნივერსიტეტის თანამშრომელი მივლინებულია გერმანიაში ქ. ფრანკფურტში და გაწეულია 1.0 ათასი ლარის ხარჯი, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტებით, მივლინებული პირი ღონისძიებაში მიწვეულია როგორც ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს თანამშრომელი.

დასკვნა:

უნივერსიტეტის პერსონალზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების შეუსაბამოდ გაწეულია 4,03 ათასი ლარის ხარჯი.

რეკომენდაცია:

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ, სამივლინებო ხარჯების ანაზღაურებაზე გააძლიეროს შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც აღმოფხვრის სამივლინებო ხარჯების კანონშეუსაბამო განკარგვის რისკს.

5.4. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება

5.4.1. კრიტერიუმი: ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების შესყიდვის მიზნით, უნივერსიტეტის მიერ ორ შემთხვევაში გამოცხადებულია გამარტივებული ელექტრონული ტენდერი.⁵⁵ სატენდერო წინადადების აღწერილობითი ნაწილის მიხედვით, ავტომანქანების შეკეთება უნდა განხორციელდეს ქარხნული ან/და ორიგინალი სათადარიგო ავტონაწილებით და პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს მინიმუმ 1 (ერთი) სარემონტო საამქრო.

გამოვლენილი გარემოება: ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში, გამარჯვებულ პრეტენდენტებთან გაფორმებულია ხელშეკრულება⁵⁶ მომსახურებასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მიმწოდებელს სარემონტო საამქროს რაიმე ფორმით მის სარგებლობაში არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი არ წარუდგენია, ხოლო 29,8 ათასი ლარის ღირებულების შეცვლილ ავტონაწილებზე

⁵² გაიოზ ფარცხალაძე 0,253 ათასი ლარი. გოჩა ჩავლეიშვილი 0,253 ათასი ლარი. ირაკლი გორგილაძე 0,078 ათასი ლარი. ლაშა ბაჟუნაიშვილი 0,078 ათასი ლარი. რუსუდან ხუბუნაიშვილი 0,73 ათასი ლარი. ომარ ფარტენაძე 0,378 ათასი ლარი. ანზორ მახარაძე 0,378 ათასი ლარი.

⁵³ ჯემალ ანანიძე 0,045 ათასი ლარი. ნათელა წიკლაშვილი 0,015 ათასი ლარი. შოთ მამულაძე 0,280 ათასი ლარი. ვლადიმერ ლლონტი 0,273 ათასი ლარი. ნელი ახვლედიანი 0,924 (დაბრუნებულია საგადახდო დავალება 25.05.2017 წ.)

⁵⁴ ბრძანება N 02-04/354 07.11.2016წ. გერმანია, ქ. ფრანკფურტი. ვაჟა თედორაძე.

⁵⁵ 14.09.2016წ SPA 160002017 სავარაუდო ღირებულება 48,7 ათასი ლარი. 11.02.2016წ SPA 160004936 სავარაუდო ღირებულება 49,6 ათასი ლარი.

⁵⁶ ი/ მ. ამირან დიასამიძე, ხელშ N58 26.02.2016 წ. ღირებულება 20.0 ათასი ლარი. შპს „ავტო-პიგმალიონი“ ხელშ N218 4.10.2016წ ღირებულება 10.0 ათასი ლარი.

არ არის იდენტიფიცირებული სატენდერო წინადადებით გათვალისწინებული ქარხნულობა ან/და ორიგინალობა.

დასკვნა:

ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული, შიდა კონტროლის სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს სატენდერო წინადადების და სახელშეკრულებო პირობების შესრულებაზე ეფექტურ კონტროლს.

რეკომენდაცია:

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ, ავტომანქანების ტექნიკური მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით, გააძლიეროს შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს მომსახურების სრულფასოვან იდენტიფიცირებას და აღმოფხვრის სატენდერო წინადადებასთან შეუსაბამობის შესაძლო რისკს.

5.5. უნივერსიტეტის გამომცემლობა

5.5.1. კრიტერიუმი: „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ ინსტრუქციით“,⁵⁷ ბუღალტრულ ანგარიშებზე ჩანაწერების შეტანის საფუძველს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელიც ასახავს ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტს.

გამოვლენილი გარემოება: უნივერსიტეტის სტამბის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2016 წლის განმავლობაში სტამბას განხორციელებული აქვს 20,7 ათასი ლარის შეკვეთა,⁵⁸ მათ შორის 16,7 ათასი ლარი წარმოადგენს ბეჭდვის საფასურს,⁵⁹ საიდანაც მასალების⁶⁰ ხარჯი შეადგენს 9,9 ათასი ლარს, ხოლო 6,9 ათასი ლარით გაზრდილია ღირებულება,⁶¹ რომლის გაანგარიშების საფუძველი ვერ იქნა წარმოდგენილი. უნივერსიტეტის საბუღალტრო ჩანაწერებით კი ირკვევა, რომ 2016 წლის განმავლობაში სტამბაზე გაწეულმა მასალების ხარჯმა შეადგინა 19,6 ათასი ლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბუღალტრო ჩანაწერებით სტამბას სასაქონლო ნაშთი არ ერიცხება.

დასკვნა

საბუღალტრო ჩანაწერებით, ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე სტამბაზე ჩამოწერილია 9,7 ათასი ლარის ღირებულების აქტივები.

⁵⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბერს N429 ბრძანების მე-9ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნა.

⁵⁸ საგამომცემლო მომსახურების ღირებულება შეადგენს 4.0 ათას ლარს, ხოლო ბეჭდვის საფასური 16.7 ათას ლარს.

⁵⁹ საგამომცემლო მომსახურების გარდა 3990 ლარი.

⁶⁰ ქაღალდი, მასტერ-ფირი, მუყაო, საღებავი და ა.შ.

⁶¹ 100 პროცენტის დარიცხვა.

რეკომენდაცია:

უნივერსიტეტმა შეიმუშაოს სასტამბო მომსახურების საფასურის განსაზღვრის საფუძველი. სტამბაზე გაცემული მასალების ჩამოწერა განხორციელდეს ფაქტიური ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესაბამისად.

5.5. 2. კრიტერიუმი: საქალაქო საბჭო და ყდის გადასაკრავი მოწყობილობების და მათი დეტალების შესყიდვის მიზნით, 2016 წლის 4 ივლისს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (SPA160019279) სატენდერო დოკუმენტაციის⁶² მიხედვით, თერმოსაკინძი დანადგარის სამუშაო ტემპერატურა⁶³ უნდა ყოფილიყო არანაკლებ 140 გრადუსი და არაუმეტეს 200 გრადუსი, ხოლო ცხელი საბეჭდ-საკვეთი პრესისთვის არანაკლებ 30 გრადუსი და არაუმეტეს 140 გრადუსი.

გამოვლენილი გარემოება: მოწყობილობების მიწოდებასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის მიერ 2016 წლის 19 აგვისტოს (შპს „პოლიგრაფი“) გაფორმებული N197 ხელშეკრულებით, მისაწოდებელი აქტივების ღირებულება შეადგენს 720,0 ათას ლარს, ხოლო მიწოდების ვადა განსაზღვრულია ხელშეკრულების დადებიდან 90 დღე. მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივი მიწოდება განხორციელდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, თუმცა მიწოდებული 80,6 ათასი ლარის ღირებულების ორი დანადგარის⁶⁴ მახასიათებლები არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს. კერძოდ, თერმოსაკინძი დანადგარის სამუშაო ტემპერატურა შეადგენს 130 გრადუსს, ხოლო ცხელი საბეჭდ-საკვეთი პრესის შემთხვევაში 150 გრადუსს.

დასკვნა:

უნივერსიტეტის მიერ 80,6 ათასი ლარის ღირებულების ორი დანადგარის შესყიდვა განხორციელებულია სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების პირობების შეუსაბამოდ.

რეკომენდაცია:

აქტივების შესყიდვასთან დაკავშირებით ანალოგიური შეუსაბამობის შემდგომში დაუშვებლობის მიზნით, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ შეიმუშაოს შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები, რაც ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის ერთ-ერთი პირობაა და აღმოფხვრის პრეტენდენტებთან არაერთგვაროვანი მიდგომის და შესაძლო ხელოვნური შეზღუდვის რისკებს.

5.6. ბიუჯეტის შედგენა-დამტკიცება.

5.6.1. კრიტერიუმი: უნივერსიტეტის წესდების მე-19 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, ფაკულტეტის საბჭო განსაზღვრავს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ფაკულტეტის ბიუჯეტს. მე-15 მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ფაკულტეტების მიერ საკუთარი ბიუჯეტის

⁶² 2.1 პუნქტის მე-9 და მე-11 ქვეპუნქტები.

⁶³ წებოს დნობის ტემპერატურა.

⁶⁴ თერმოსაკინძი დანადგარი 67,6 ათასი ლარი. ცხელი საბეჭდ-საკვეთი პრესი 13.0 ათასი ლარი.

პროექტის შედგენას და წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენას. მე-10 მუხლის „ვ“ პუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით.

გამოვლენილი გარემოება: უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 24 დეკემბრის N07 გადაწყვეტილებით, დამტკიცებულია უნივერსიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი. წარმოდგენილი დოკუმენტებით⁶⁵ ირკვევა, რომ 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი, უნივერსიტეტის ფაკულტეტებს, აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტს და ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ინსტიტუტს არა აქვთ წარმოდგენილი. შესაბამისად 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში არ არის გამიჯნული უნივერსიტეტის ფაკულტეტების და სტრუქტურული ერთეულების (ინსტიტუტების) ბიუჯეტები.

დასკვნა:

უნივერსიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის პროცესი, წესდებით გათვალისწინებული პირობების შეუსაბამოდ არის განხორციელებული.

რეკომენდაცია:

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ დანერგოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, წესდებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად ბიუჯეტის შედგენა/დამტკიცებასთან დაკავშირებით.

აუდიტის ჯგუფის წევრები:

აუდიტის ჯგუფის ხელმძღვანელი:

ნადიმ ბოლქვაძე

/წამყვანი აუდიტორი/

მაია მუჯირიშვილი

/აუდიტორი/

ზვიად ვარშალომიძე

/აუდიტორი/

ავთანდილ აბაშიძე

/აუდიტორ-ასისტენტი/

მიხეილ დიასამიძე

/აუდიტორ-ასისტენტი/

23/06/2017წ

⁶⁵ უნივერსიტეტის კანცელარიის მონაცემებით.